საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არაქელ დავრიჟეცი

არაქელ დავრიჟეცი (თავრიზელი) (1595, თავრიზი,– 1670, ეჩმიაძინი), სომეხი ისტორიკოსი.

მისი ვრცელი „ისტორიათა წიგნი“ (გადმოცემულია 1602–62 ამბები) ამ პერიოდის სამხრ. კავკ. და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის პირველხარისხოვანი წყაროა. ავტორი დაწვრილებით აღწერს შაჰ-აბასის შემოსევებს სამხრ. კავკასიაში, სომეხთა აყრასა და ირანში გადასახლებას. საყურადღებო ცნობებს გვაწვდის XVI ს. ბოლოსა და XVII ს. I ნახ. ქართლისა და კახეთის სამეფოებზე, კერძოდ სიმონ I-ზე, ალექსანდრე II-ზე, ლუარსაბ II-ზე, თეიმურაზ I-ზე, ქეთევან დედოფალზე, გიორგი სააკაძეზე და სხვ. ა. დ-ის ნაშრომი პირველად დაიბეჭდა 1669 ამსტერდამში სომხ. ენაზე.

თხზ.: Պատմութիւն Առաքել Վարդապետի Դաւրիժեցւոյ, Վաղարշապատ. 1986.

ლ.-ნ. ჯანაშია